



შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (10.026)

28 მაისი-4 ივნისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ქაზნაში მკვდარი“ ...

26 მაისს საპარტეზლომ დამოუკიდებლობის დღე იზაიბა. ეს დღე ღონისძიებებით აღინიშნა დედოფლისწყაროშიც.

დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკიდან დაიწყო, შემდეგ 26 მაისსადმი მიძღვნილი შემეცნებითი საღამო ქალაქ დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში გაგრძელდა, რომელშიც მონაწილეობა ამავე სკოლისა და ჰამლეტ გონაშვილის ქართული სიმღერისა და გალობის სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. კონცერტის პარალელურად გაიმართა სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ნახატების გამოფენა. მასშტაბური ღონისძიება დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაგრძელდა. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ შემოქმედებით ღონისძიებაში მონაწილეობა ადგილობრივმა ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიიღეს. სადებიუტო გამოსვლა ჰქონდათ ქვემო ქედის მომღერალთა გუნდს და ნორჩ მოცეკვავეთა სტუდია „ვარსკვლავების“ აღსაზრდელს. ღონისძიებებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ და მოსახლეობას დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „უკვე წლებია, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა დედოფლისწყაროში ცენტრალური ბიბლიოთეკიდან იწყება. მნიშვნელოვანია არ აქვს, პანდემიური პერიოდი თუ არაპანდემიური. ეს ერთგვარი გზავნილიცაა საზოგადოებისთვის, რომ წიგნიერებას და განათლებას მოაქვს ნამდვილი თავისუფლება. მისარია, რომ დღეს ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას ესწრებიან ჩვენი ნორჩები, რომლებიც მომავალ თაობას წარმოადგენენ. ევროკავშირისკენ და ევროპული ოჯახისკენ სწრაფვაც იმისი დასტურია, რომ ჩვენი მომავალ თაობას ჰქონდეს ცხოვრებისა და განათლების შესაბამისი პირობები. გილოცავთ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს! დღეს, ჩვენი პრემიერის ხელმძღვანელობის პირობებში, როგორც არასდროს, ყველაზე ახლოს ვართ ევროპასთან. ორი დღის წინ პრემიერი ირაკლი ლარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ბრიუსელში და საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა. ევროკავშირის ასოციაციის კითხვარზე გადავიცით და მოლოდინი გვაქვს, რომ მივიღებთ კანდიდატი ქვეყნის სტატუსს და ხვალინდელი დღე ბევრად უკეთესი იქნება. 31-ე წელია, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღს ვზეიმობთ. არცთუ ისე დიდი დროა გასული და ამ წლების განმავლობაში საქართველომ განვითარების მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. იმედი გვაქვს, რომ მოკლე ხანში დიდ ევროპულ ოჯახში დავიკავებთ ღირსეულ ადგილს.“

ნუგზარ პაპიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: „თავისუფლებისკენ სწრაფვა ყველა ადამიანში არსებობს. ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას საუკუნეების განმავლობაში ეწეოდნენ თაობები. თავისუფლება დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს, ამიტომაც, რომ ეს დღე ყველასათვის ძალიან მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით ჩვენი მომავალი თაობისთვის. გილოცავთ კიდევ ერთხელ ამ დღეს!“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებებით აღინიშნა. ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საფეხბურთო პირველობა გაიმართა. ჩემპიონატში მუნიციპალიტეტის ვეტერანი და მოყვარული ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. ნახევარფინალში სამთაწყაროს გუნდი ხორნაბუჯს დაუპირისპირდა, ხოლო არხილოსკალის გუნდი-სამრეკლოს. ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა ხორნაბუჯელებმა და სამრეკოელებმა გააგრძელეს. პირველობა კი ხორნაბუჯის გუნდს ხვდა წილად. გამარჯვებულები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა და დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ხელმძღვანელმა აკაკი ნატროშვილმა დააჯილდოვეს. პირველი ადგილის მფლობელ ხორნაბუჯის გუნდს ადგილობრივი თვითმმართველობისგან 500 ლარი გადაეცა, მეორე ადგილზე გასულ სამრეკლოს გუნდს-300 ლარი, მესამე ადგილის მფლობელ სამთაწყაროს გუნდს-200, მეოთხე ადგილისა და არხილოსკალის გუნდს კი-100 ლარი. საპრიზო ადგილებზე გასული ოთხივე გუნდის ფეხბურთელები ასევე სიგელებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

მაინც რა არის თავისუფლება?-ვეითხულობთ ოცდამეერთე საუკუნეში. ეს კითხვა აქტუალური იყო მე-19 საუკუნეშიც და აქტუალური დღესაც. ილია ჭავჭავაძე თავისუფლების არსს ლეტის აღნიშნავს სიტყვებით გადმოსცემდა: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო“, უფრო შორს მიდიოდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც თავისუფლებისად ბედნიერების ცნებებს აიგივებდა და ამ კითხვას ასე პასუხობდა: „მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი ნოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა ნოდებრივი უპირატესობანი, ყველა ნოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია. ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად ნოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად ნოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა სამუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს უფრო არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება. მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთეს მას თან არ ახლავს ერის საერთო ონებრივი სიმნიფე, განათლება და ცოდნა.“

თქვენ რას ფიქრობთ, მაინც რა არის თავისუფლება?

ინგა შიოლაშვილი



სამშობლო და თავისუფლება - უზენაესი ღირებულებები



ირაკლი ლაშვილი - საქართველოს პარლამარ-მინისტრი

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! დღეს ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 104 წლის თავს აღვნიშნავთ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლაშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვის გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა დამოუკიდებლობის დღე მიულოცა ყველას, ვისთვისაც სამშობლო და თავისუფლება უზენაესი ღირებულებებია.

„26 მაისი ჩვენი თავისუფლების დღეა. დღე, რომელიც ყველაზე მეტად გვაერთიანებს საქართველოს მოქალაქეებს.“

ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღეს - დამოუკიდებლობის დღეს ვულოცავ ჩვენს საამაყო ჯარს, გილოცავთ ყველა მასწავლებელსა თუ ფერმერს, ექიმს თუ მშენებელს, სპორტსმენს თუ ხელოვანს, ჯარისკაცსა თუ პოლიციელს, ჩვენს ახალგაზრდებს და ხანდაზმულებს - ყველას, ვისთვისაც სამშობლო და თავისუფლება უზენაესი ღირებულებებია, ვინც ცოცხლად ინახავს ჩვენს დიდ წინაპართა ნათელ ხსოვნას და ყოველდღიური შრომით საქართველოს უკეთესი მომავლის შენებაში მონაწილეობს. მსურს, განსაკუთრებით მივულოცო ჩვენს საამაყო წევრადმელებს, ვისაც წილად ზედათ უდიდესი პატივი, ამ ღირსშესანიშნავ დღეს დადონ სამშობლოს ერთგულების ფიცი; გულითადად ვულოცავ ქართულ დიასპორას მთელ მსოფლიოში; განსაკუთრებული სითბოთი ვულოცავ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენს ძმებსა და დებს. ჩვენ საერთო გვაქვს წარსული და მომავალიც ერთად, მხოლოდ მშვიდობით, ურთიერთპატივისცემით და თანამშრომლობით უნდა ვაშენოთ.

მადლიერების გრძნობით ვულოცავ ჩვენს უცხოელ მეგობრებს, ვის გულწრფელ თანადგომასაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განუწყვეტლივ ვგრძნობთ და ვინც ჩვენთან ერთად ზეიმობს დღევანდელ დღეს. 26 მაისს ჩვენ ქედს ვიხრით ჩვენი გმირების, დიდი წინაპრების ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინც სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეას ყველაზე ძვირფასი - საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნა.“



კარლ კასიანი - ამერიკის ელჩი საქართველოში

ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

როგორც ჰარცელი აღნიშნავს, ევროკავშირი საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევ მხარდამჭერად რჩება.

“მთელი გულით ვულოცავ საქართველოს და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს. ევროკავშირი საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევ მხარდამჭერად რჩება. ამ რთულ დროს ჩვენ უკრაინისადმი სოლიდარობა გვაერთიანებს.“

ჩვენ საქართველოს გვერდით ვართ და ვაფასებთ ჩვენს შორის არსებულ ღრმა კავშირებს. გვინდა, რომ ეს კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდეს. 3 მარტს საქართველოს მთავრობამ ევროკავშირში განვერიანებებზე განაცხადი გააკეთა, რაც ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მისწრაფებას გამოხატავს.

საქართველომ არჩევანი გააკეთა საკუთარ ისტორიულ ღირებულებებზე დაყრდნობით. ახლა არის დრო, საქართველომ, ევროპული გზის ერთგულების დასადასტურებლად, გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგას“, - აღნიშნავს ჰარცელი.



სალომე ზურაბიანი - საქართველოს პარლამარ-მინისტრი

აღვნიშნავთ 26 მაისს, ჩვენი დამოუკიდებლობის დღეს და ვისვენებთ ყველას, ვინც იბრძოდა და ჩვენამდე მოიტანა ეს დღე, შეინარჩუნა ჩვენი თვითმყოფადობა და თავისუფლება. მათ სისხლი გაიღეს და სიცოცხლე შესწირეს, რათა ჩვენ შეგვძლებოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, აგვერჩია საქართველოს მომავალი და პრეტენზია გვეკონოდა ჩვენს ევროპულობაზე“, - წერს სალომე ზურაბიანი.

დღეს, 26 მაისს, საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღვნიშნავს. 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, ეროვნული საბჭოს სახელით, ქართველ ერსა და საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება ამცნო. ამ დღეს მიიღეს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ 70 წლის შემდეგ შეძლო.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა გაძლიერდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იძულებული გახდა, 1921 წლის 25 თებერვლის გასაბჭოების აქტი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციად ეცნო, მოგვიანებით, კი უზენაესი საბჭოს არჩევნებზე დაენიშნა. არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა და პარტიამ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით გაიმარჯვა.

1991 წლის 31 მარტს, უზენაესმა საბჭომ საყოველთაო რეფერენდუმში ჩაატარა, კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის 90.3%-მა. მონაწილეთა 98.9%-მა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა მხარი. 1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. იმავე წლის 26 მაისს კი, საქართველომ პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია აირჩია.

1991 წლის 31 მარტს, უზენაესმა საბჭომ საყოველთაო რეფერენდუმში ჩაატარა, კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის 90.3%-მა. მონაწილეთა 98.9%-მა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა მხარი. 1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. იმავე წლის 26 მაისს კი, საქართველომ პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია აირჩია.



კელი დებნანი - ამერიკის ელჩი საქართველოში

ამერიკის შვერტებული შტატების საელჩო საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს. როგორც საელჩოს მისალოც წერილშია აღნიშნული, ყოველი 26 მაისი თავისუფლების ძლიერი სიყვარულის ზეიმი.

“საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის დღე მართლაც საყოველთაო ზეიმი იყო. 26 მაისი იყო შედეგი სიმამაცის, ერთიანი, თავდაუზოგავი ძალისხმევისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის.“

სამოცდაათი წლის განმავლობაში საბჭოთა რეჟიმის მცდელობების მიუხედავად საქართველოს პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობა ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა და დღესაც მისი იდეალების დამკვიდრებისკენ ისწრაფვის.

ყოველი 26 მაისი ამ დიდი მონაპოვარისა და თავისუფლების ძლიერი სიყვარულის ზეიმი.

გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს, საქართველო!“ - ნათქვამია მისალოც წერილში.

26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარეს დემოკრატიული რესპუბლიკა; შეიქმნა ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული სისტემა.

საქართველოს დამოუკიდებლობას იმთავითვე მტრულად შეხვდა ბოლშევიკური რეჟიმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ყოფილი იმპერიის აღდგენა. 1921 წელს საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყნის ანექსია მოახდინა. საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების უმრავლესობა ემიგრაციაში წავიდა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ის არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა და ხელისუფლება გადავიდა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ ხელში[8].

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის



დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3%-მა, რომელთაგან 98,9 %-მა კითხვას დადებითად უპასუხა. ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

საქართველოს დამოუკიდებლობის

დღე არის საქართველოს ეროვნული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 26 მაისს, ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ისგან დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო პირველი რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე. იგი შეიქმნა 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას ესაზღვრებოდა რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილოეთით, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი - სამხრეთით. მოსახლეობა შეადგენდა 2,5 მლნ-ს, ფართობი - 107,600 კვ.კმ-ს. დედაქალაქი - თბილისი. სახელმწიფო ენა - ქართული.

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში მონარქიის დაშობის შემდეგ, ამიერკავკასიაში ორხელისუფლიანობა დამყარდა: ერთი მხრივ,

/გავრძელება შემდეგ გვერდზე/

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

/დასაწყისი გვ.2/

მუშათა და სამხედრო დეპუტატთა საბჭოები, მეორე მხრივ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი, რომელთაც რევოლუციური ძალაუფლება არ ჰქონიათ. ამავე პერიოდში მოწვეულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა.


ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამხრეთ კავკასია კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ადგილობრივმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება და უკვე 1917 წლის ნოემბერში ჩამოაყალიბეს ადგილობრივი მმართველობა ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომელმაც რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შექმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - სეიმი.

1918 წლის თებერვალ-მაისში, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, საქართველო შედიოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. მას მართავდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც შედგებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან.

მაგრამ ფედერაცია არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობით. ამას დაემატა თურქეთის მხრიდან აგრესია, რომელმაც დაიკავა ბათუმი, არტანი, ოზურგეთი, საფრთხე შეექმნა ახალციხესა და ახალქალაქს. შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მოვლენათა შემდგომი განვითარება: 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მომდევნო დღეებში დამოუკიდებლობა გამოცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანლის აკაკი ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის მოლაპარაკებებზე შექმნილ მიმე სიტუაციას აღწერდა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამაზე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ენოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.



ქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მიიღეს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელი, ხოლო საქართველო - სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა - დემოკრატიული რესპუბლიკა.

საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა;

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ გლეხებიც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო: მთავრობის თავმჯდომარე - ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი - აკაკი ჩხენკელი, შინაგან საქმეთა მინისტრი - ნოე რამიშვილი, სამხედრო საქმეთა მინისტრი - გრ. გიორგაძე, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი - გ. ყურული, იუსტიციის მინისტრი - შ. ალექსი-მესხიშვილი, სახალხო განათლების მინისტრი - გ. ლასხიშვილი, მინათმშენებლისა და შრომის მინისტრი - ნ. ხომერიკი, მიმოსვლის გზების მინისტრი - ი. ლორთქიფანიძე.

1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა

60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ 3 წელიწადს, 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოები

დროშა - საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე ხნის განმავლობაში 1918-21 წლებში მიღებული იყო სამფერი დროშა (მარჯვნივ). დიზაინი შერჩეულ იქნა ეროვნული დროშის დიზაინის კონკურსით, რომელშიც მხატვარი იაკობ ნიკოლაძის იდეამ გაიმარჯვა. დროშა 1921 წელს საქართველოს რევკომმა გააუქმა საქართველოს ანექსიის შემდგომ და ის მხოლოდ 1990 წლის 14 ნოემბერს აღადგინეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსგანდევნების შემდეგ.

ბერძენი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის 27 დეკემბერს. გერბი შექმნილია საქართველოში მოღვაწე მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ, ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით. გერბი წარმოადგენს ქართულ (მრგვალ) ფარს, რომელიც მოთავსებულია ქართულსავე, ორნამენტირებულ 7-ქიმიან ვარსკვლავში. ფარზე, დაბლა გამოსახულია შავ ფერში მთა (კავკასიონი), რომელზეც თეთრი მხედარია აღმართული, შეყენებულ თეთრსავე რაშზე (წმინდა გიორგი). თუმცა მას არ აქვს ტრადიციული შარავანდედი თავზე და ის არავის ებრძვის (მაგ. გველეშაპს) - როგორც თავისუფალი, მშვიდობიანი სახელმწიფოს სიმბოლო.

ჰიმნი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი 1918-1921 წლებში და საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი 1991-2004 წლებში. ის ამავადროულად პირველი ქართული ეროვნული ჰიმნიცაა. ტექსტი და მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს.

2004 წლის აპრილში, „დიდება“ შეიცვალა ახალი სახელმწიფო ჰიმნი - „თავისუფლება“.



სოფლად პირველადი ჯანდაცვის სრულყოფისათვის

ა(ა)პ საქართველოს სამედიცინო პოლდინგი ქვეყნის მასშტაბით სოფლის ექიმებთან შეხვედრებს მართავს.

პოლდინგის სოფლის ექიმის პროგრამის მიმართულების ხელმძღვანელი მინდია ლლონტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ამბულატორიის მედპერსონალს შეხვდა. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერის მოადგილე მაღსაზ მერაბიშვილი ესწრებოდნენ.

მინდია ლლონტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის ამბულატორიის თანამშრომლებისგან სამედიცინო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მიიღო და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების მიზნით დაგეგმილ სერვისებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ გათვალისწინებულია სოფლად პირველადი ჯანდაცვის მომსახურებისა და ამბულატორიული ქსელის კიდევ უფრო განვითარება, რაც მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.



„წუთისოფელი წუთია და ტანჯვა, მაგრამ მაინც საინტერესოა...“

60 წელია, ერთად ცხოვრობენ, ერთი ძირი ახურავთ თავა თავენი შრომითა და ჯაფით ვაძინებენ. მათ ერთად და ცალკე-ცალკე საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების გზა გაიარეს. ერთ სოფელში, კარგად ზამთარში, ღამიანი მუშაობის შემდეგ, ახლა მათი ცხოვრება უზარმაზარია. ერთ სოფელში, კარგად ზამთარში, ღამიანი მუშაობის შემდეგ, ახლა მათი ცხოვრება უზარმაზარია. ერთ სოფელში, კარგად ზამთარში, ღამიანი მუშაობის შემდეგ, ახლა მათი ცხოვრება უზარმაზარია.



მოდით, ჯერ უზანგის მიერ განვლილ ცხოვრების გზას გავაცნოთ: დაიბადა 1937 წლის მაისში, ზემო ქედში, ფილიპე ჩოხელის და მარიამ აფციაურის ოჯახში. მრავალრიცხოვან ოჯახში იზრდებოდა - ორი ძმა და ორი და ჰყავდა. შრომას ბავშვობიდანვე მიეწვია. სპორტისადმი ინტერესი ისტორიის მასწავლებელმა ნიკოლა გოგიშვილმა გაუღვივა. ის თავადაც საქართველოს ჩემპიონი იყო და პირველი მოჭიდველთა გუნდშიც მან ჩამოაყალიბა. შეატყა, რომ უზანგის კარგი მონაცემები ჰქონდა. ერთდროულად ფეხბურთით და ქართული ჭიდაობით იყო გატაცებული. სოფლის ფეხბურთის გუნდს „მირაქი“ ერქვა, რაიონულ ნაკრებს „ნეფტიანიკი“, ორივეში წამყვანი მოთამაშე იყო. სადაც გაუჭირდებოდა გუნდს, იმ ფლანგზე იბრძოდა. წარმატებებიც მრავალად ჰქონდა და სიხარულიც. ქართული ჭიდაობა ძალიან ღამიანი სანახავე იყო, უზანგის კისრული კი ლეგანდად დარჩა.

ერთხელ, შეჯიბრზე თბილისში მივიდოდით ფეხბურთის სათამაშოდ. საგარეჯოში კი ქართულ ჭიდაობაში ტარდებოდა შეჯიბრი. გავლისას მონაწილეებზე ჩავეხენით, მოვასწრებთ, ვიფიქრეთ. ფეხბურთი მოვიგეთ და საგარეჯოს მოვაშურეთ. თითქმის დამთავრებაზე იყო შეჯიბრი, მაინც მოვასწარით. ცოტა დაღლილები კი ვიყავით, მაგრამ საგარეჯოელების ჯავრი გვჭირდა, რევენში გვეყურდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან, სახელგანთქმულ როენა ქაიხოსროშვილთან მომინია შეხვედრა. ჩემზე კარგად ახალგაზრდა და ტანადი იყო და დაიმედავებოდა, რომ მომიგებდა. ხალხიც ტაშით და ოვატით ამხნევებდა. ვნახეთ, ბოლოს ვის დაუკრავინ ტაშ-მეთქი, ვუთხარი, ცოტა არიყოს, ნინამხდარ ჩემს მეგობრებს. აკენესა ზურნა, შემოჰკრეს ხალხი და, სულ რამდენიმე წუთში ზედ მუსიკოსების წინ, კისრულზე წამოღებულ, დავანარცხე. მოულოდნელობისაგან ხალხი ჯერ გაიხუსა, მერე აყვირდა, არ ითვლება. შევებოთ მეორედ. ნინა რიგში ერთი სიმპათიური, კახურქუდიანი ჭარბაგი კაცი იჯდა, გულშემატკივრობაზე ეტყობოდა, ჭიდაობის დიდი ფანი იყო. სწორედ მის წინ გავეხლართე მეორედ მათი ნაქები ფალავანი ზურგზე. ხალხი მაინც არ ცხრებო-

და... ძლივსნამომდგარმა ქაიხოსროშვილმა ხელი ასწია და დარცხენილმა თქვა: რა გინდათ, ხალხო, ხო არ უნდა მამკლას, მაჯობა და ეგ არისო. მსაჯმა ხელი რომ ამანვეინა გამარჯვების ნიშნად და ხალხმაც შეხარბო, ის დანცდები არ ავინყებდა. ხალხის გულწრფელი სიყვარული, აღიარება, შეხვედრები, საზეიმო სუფრები... რა მოთვლის იმ ღამიან ღამეებს, რაც მას სპორტმა მოუტანა! თუმცა, მარტო სპორტი როდის იყო მისი ცხოვრების აზრი, შრომამაც მონიხავე გახლდათ, არაერთი ჯილდოს მფლობელი. მან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეტალოგია-მეცნიერების ფაკულტეტი დაამთავრა და ბრიგადირად დანიშნეს მეტალოგიაში. წარმატებას წარმატებაზე აღწევდა მისი ბრიგადა. შრომისმოყვარე, მცოდნე და ენერგიული ნიშანდლოლი შემდეგ მევენახეობაში გადაიყვანეს ბრიგადირად. სულ მონიხავეთა რიგებში იყო. ახალი ტექნოლოგიები დანერგა, რიგთაშორისი მანძილები გაზარდა და გვეგობური 5 ტონის ნაცვლად 12-14 ტონა ყურძენს კრეფდა ჰექტარზე. მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო საკავშირო გამოფენაზე მან ვერცხლის მედლი დაიმსახურა, რაც, იმდროისთვის, ძალიან დიდი ჯილდო გახლდათ. -მედიდრები არ გვეთქმოდნენ, მაგრამ ლაღად ვცხოვრობდით, ზვალნიდელი დღის არ გვეშინოდა, სასწაული რამ იყო კოლმეურნეობა, ყველას კვებავდა, ყველას ჰყოფინდა, გულწრფე-

ლად რომ გითხრათ, გული მწყდება, კოლმეურნეობები რომ დაიშალა. ხალხი უმუშევარი დარჩა. უსაქმურად, ულუკმაპუროდ დარჩენილებმა მიატოვეს სოფლები და ზოგი ქალაქს მიექვდა, ზოგი საზღვარგარეთ წავიდა, დაცარიელდა სოფელი, ხალხის დაიკარგა. აღარც სპორტია იმ დონეზე, ენთუზიაზმიღა უდგას სული. გულს უხარია, როდესაც ვინმე გამორჩეული მონაცემების ახალგაზრდას ხელს მოჰკიდებს, ქალაქში წაიყვანს და მერე დიდ წარმატებებს მიაღწევს. მიუღმა საქართველომ და, ზემო ქედმა ყველაზე მეტად, გაიხარა ჩვენი ლამა ბეჭაურის ოლიმპიური ოქროს მედლით. გვეამაყება, ის არა მარტო კარგი სპორტსმენია, არამედ ადამიანიც მისაბაძია...ჯერჯერობით, ღმერთმა არა ქნას, გაყოყორდეს! მიხდა უფრო მეტი გაქანება ჰქონოდა სპორტსმენს, შეიძლება ყველა დიდი სპორტსმენი ვერ გახდეს, მაგრამ ჯანმრთელები მაინც ხომ იქნებიან, ქუჩა-ქუჩა არ იყილებენ, სიგარეტსა და ნარკოტიკს არ გაეჭირებინა, ესეც სიკეთეა.

რას ფიქრობთ რა არის წარმატების ფორმულა სპორტში?

-ბუნებრივი მონაცემები, მიზანსწრაფულობა და შრომისმოყვარეობა, თუ როგორც არ გაქვს, დიდ სპორტში სახელის დამეკიდრება შეუძლებელია!

გაინტერესებთ, რას ამბობენ მასზე უმცროსი კოლეგები?

ელბაზი თიბაძე, - დედოფლისწყაროს სპორტსკოლის ყოფილი დირექტორი, სპორტის და სპორტსმენების დიდი გულშემატკივარი და დამფასებელი, ბევრი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორი და სპონსორი: - ბევრი სახელგანთქმული გაცავს, რომლებიც უკვე ასაკში არიან, მათ ჩვენი მოფერება და მხარში დგომა სჭირდებათ, არ უნდა დავივიწყოთ მათი წვლილი და მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდარული სპორტსმენი დედოფანდელი ჩვენი მასპინძელი უზანგი ჩოხელია. ჩვენ, ყველა, მისი ხელდასხმულები ვართ, ის ჩვენი გამზრდელი და დამრიგებელია. ეს არის კაცი, რომელსაც ჭკუა ეკითხება, რომელიც დღესაც მხარში უდგას ახალგაზრდებს. ის საქართველოს ორგზის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში, მრავალი ჯილდოს მფლობელი. გამორჩეულად კეთილი, იუმორით სავსე,

უსაყვარლესი ადამიანი. ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ მას.

ბიძი ლაზარიაშვილი, - დამსახურებული მწვრთნელი, ღონისძიების მფლობელი კავალერი: - უზანგი ჩოხელი, რომელსაც მეტსახელად სიყვარულით „სესკეს“ ვეძახდით, ფესვმავარი მუხაა ჩვენი რაიონის სპორტის ისტორიაში, ბევრი სპორტსმენის დამკვლიანიბელი, ბევრი თაობის გამზრდელი, პატივსაცემი ადამიანი. უზანგი ჩოხელის სახელობის ტურნირი რომ ჩავატარეთ, საქართველოს ყველა დიდი სპორტსმენი და სპორტის მესვეურები ენვივნენ ზემო ქედს. სწორედ მაშინ შეამჩნიეს ჩვენი სამაყოლამა ბეჭაურის სპორტული მონაცემები, წაიყვანეს თბილისში და...დღეს ყველას გვეამაყება, რომ ის ოლიმპიური ჩემპიონია. რაიონი ამაყობდა უზანგის მიღწევებით, ასეთ ადამიანებს დაფასება სჭირდება, ისინი საუკეთესო მაგალითს აძლევენ ახალგაზრდობას. მაღლობა ელგუჯა თეთვაძეს, რომელიც მოთავადა ასეთი ღონისძიებების, მან კარგად იცის, რომ აწყვიტა და მომავალიც წარსულზე დაფუძნებული და ტრადიციებს გაგრძელება უნდა. დიდხანს სიცოცხლე ჩვენს უზანგის.

ზაზა ჩოხელი (პილი): - მეამაყება, რომ ასეთი მამის შვილი ვარ. მან გავსწავლა სამართლიანობა, ქვეყნის სიყვარული, უფროს-უმცროსობა, კაცთმოყვარეობა. სწორედ ასეთია თავადაც. 1994 წელს მურმანსკი ვიყავი. შემთხვევით შეხვდა ქართველი კაცი. როცა ვუთხარი ნიშნულსაგან ვარ-მეთქი, თვალები გაუბრწყინდა და მკითხა: - უზანგი ჩოხელს ხომ არ იცნობო, მაგარი მოჭიდველია. გული სიამაყით ამევსო, ბედნიერი ვიყავი. ახლაც მოუხედავად ასაკისა, სულ ცდილობს მხარში ამოგიდგეს, შრომობს. ღმერთს ვთხოვ დიდხანს გვყავდეს. * * *

ახლა კი ოჯახის დედაბოძი, ძიძინო ძიძინო გავიცნოთ: - ისიც ზემო ქედში დაიბადა და გაიზარდა. სკოლაში, გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობდა, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურობითაც გამოირჩეოდა. სულ სცენაზე იდგა, ეხერხებოდა სიმღერაც, ცეკვაც. სკოლა რომ დაამთავრა, მეფრინელებში დაიწყო მუშაობა. წარმატებულ და აქტიურ კომკაშიონელს კოლმეურნეობა უმაღლესი განათლების მისაღებად ლიმიტი გამოუყო და მანაც დედაქალაქში ზოოვეტინსტიტუტს მიაშურა. ზოოტექნიკოსი უნდა გამზარდარიყო, კოლმეურნეობას დაბრუნებოდა და სოფელს გამოეღვინებოდა, მაგრამ... ბედისწერა ასე არ სჯიდა. მეორეკურსელს გულისკარი სოფლის ერთ-ერთმა „უმადრესმა“ ბიჭმა, უზანგი ჩოხელმა გაულოდა...ეს ამბავი მაღელვებლად ქონილით დამთავრდა. ქეთინო დაუსწრებელზე გადავიდა, მაგრამ გაუჭირდა, მალე პირველი ვაჟი-ზურაბი დაიბადა და ქეთინომ დევი იცვალა, სამედიცინო ტექნიკში დაამთავრა და 12 წელი ზემო ქედის 60 საწლიანი ზონალურ საავადმყოფოში იმუშავა. თბილი, გულსმომიერი და მზრუნველი ქეთინო სოფელმა შეიყვარა.

-სიცოცხლით და ხალხით სავსე იყო მაშინ ჩვენი ცხოვრება. შესანიშნავი საავადმყოფო გვექონდა, ყველაფრით უზრუნველყოფილი. კარგი სპეციალისტები მუშაობდნენ, სისუფთავე, წესრიგი, დისციპლინა ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო და ხალხიც - კმაყოფილი. ქედების ზონიდან რაიონულ საავადმყოფოში ექსტრემალური სიტუაციის დროს თუ გაუშვებდნენ ვინმეს, - იხსენებს ქეთინო.

1986 წლის 21 დეკემბერს ზემო ქედში ახალი კულტურის სახლი გაიხსნა - საქართველოს არცერთ სოფელს არ ჰქონდა ასეთი შესანიშნავი შენობა თავისი არქიტექტურით, მოცულობით, შესაძლებლობებით. კოლმეურნეობის თავჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, ლეგენდარულმა არსენ კობაიძემ ქეთინო ქიშოსტელი დაიბარა და კულტურის სახლის დირექტრობა შესთავაზა, არა, კი არ შესთავაზა, დაავალა. ქეთინო დათანხმდა. იქამდეც აქტიური კულტურული ცხოვრება ჩქეფდა სოფელში, ახალმა კულტურის სახლმა კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩინა. არსენ ძიაც, როგორც მას მთელი ქედები ეძახდა, ხელს ძალიან უწყობდა სპორტსა და კულტურას. ამბობდა, მარტო კოლმეურნეობა ვერ დაიჭერს ახალგაზრდობას, მათ საინტერესო ცხოვრება უნდა შევქმნათ, რომ თვალის ქალაქისკენ არ გაექცეთ. სავსე იყო სოფელი ახალგაზრდებით, სიცოცხლე ჩქეფდა. ჯერ მარტო 15 წრე მუშაობდა, რაღა არ ისწავლებოდა...საღლა

არ დადიოდნენ ოლიმპიადასა და კონკურსებზე. მათი ქართულ-ხალხურ საკრავთა ორკესტრი, მათი სკეტრები, ხალხური სიმღერები, სახასიათო ტაშ-ფანდურები მათი ყურებელს ატყევენდა. მათი გასტროლები გერმანიაში, ჩეხოსლავაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში არაერთი ლაურიატის ნიშნის მოპოვებით დასრულდა. 35 ადამიანი, 35 სხვადასხვა საკრავზე უკრავდა და ალტაცებში მოჰყავდა მსმენელი. მე თავად, თქვენი მონა-მორჩილი, ამ წერილის ავტორი, ბევრჯერ დავმტკბარვარ მათი შემოქმედებით: სანდრო ნიკლაური, შალვა ხუციშვილი, იოსებ ქიშოსტელი, გიორგი კავთიაშვილი, ნიკო ნიკლაური, მაცვალა ნიკლაური, იზო ნამგალაური, ნოდარ ყიფიასვილი, დარეჯან ჩოქური, დები აფიციაურები, ზაირა ხუციშვილი, დარეჯან ბეჭაური, ნელი გვრიტიშვილი და სხვები, ყველას ვერ ჩამოვთვლით, დაუვინყარ სახანაობას ჰქმნიდნენ. ამ ყველაფრის სათავეში კი 25 წელი იდგა ქეთინო ქიშოსტელი. მან დიდი ამაგი დასა და სოფელში კულტურის განვითარებას. კბლითა და ფრჩხილით იცავდა კულტურის სახლს, მის ქონებას იმ გაუსაძლის 90-იან წლებში. ამიტომაც დავილდოვდა იგი ღირსების მედლით. * * *

60 წელი გაატარეს ქეთინომ და უზანგმა ერთ უღელში, ბევრი იშრომეს, კარგი, მისაბაძი ოჯახი შექმნეს. სამი ვაჟი ეყოლა, ხარობდნენ და კეთილ და შრომისმოყვარე ადამიანებად ზრდოდნენ, მაგრამ მოულოდნელმა უბედურებამ შეძრა მათი ცხოვრება, უმცროსი ვაჟი ვანო 21 წლის ასაკში, ელემენტარული გამოუცდევლობისა და გაუთვალისწინებლობის მსხვერპლი გახდა. ვანო ერთ-ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა იყო სოფელში. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეთორე კურსზე სწავლობდა, სპორტშიც დიდი მიღწევები ჰქონდა, იყო საქართველოს ნაკრების წევრი ძიუდოში. მისი გარდაცვალებიდან 10 წლის განმავლობაში ტარდებოდა ვანო ჩოხელის სახელობის ტურნირები ქიდაობაში. ამ ტკივილმა დიდი დაღი დაასვა ოჯახს.

უფროსი შვილები - ზურაბი და ზაზა მშობლებს დიდ პატივს სცემენ და აფასებენ მათ ამაგს. ზურაბი მამის ფუტეზე ცხოვრობს, სპეციალობით ეკონომისტი და მუშაობდა კიდევაც კოლმეურნეობაში, მაგრამ... ახლა ქედების ზონის ელექტროქსელის მენეჯერი. მისი მეუღლე ნონა რაჭველიშვილი საბავშვო ბაღში მუშაობს. სამი შესანიშნავი ქალიშვილი გაზარდეს. ორი უკვე გაათხოვეს და შვილიშვილსაც ელოდებიან. რაც შეეხება ზაზას, ის ამჟამად თბილისში ცხოვრობს და ქალაქის მერიამ მუშაობს. 26 წელი ცხოვრობდა იგი უკრაინაში. ხარკოვში მიიღო უმაღლესი განათლება, ცოლიც უკრაინელი შეირთო. ვაჟიც იქ შეეძინათ. ზაზას უმცროსი ძმის სახელი, ვანო, სურდა დაერქმია, მაგრამ მონათვლისას სამღვდლო პირმა განუმარტარადგან ჩვენთან მიცვალებულის სახელის დარქმევა არ შეიძლება, თქვენი პატრიარქის-ილიას სახელი დავანათლოთო. ასე გახდა ორსახელი პატარა ილია-ვანო. 2012 წელს ოჯახით სამშობლოში დაბრუნდა ზაზა. ილია-ვანომაც ქართული სკოლა დაამთავრა. მაგრამ ბედმა უმტყუნა ზაზას მეუღლეს. უკურნებელი სენით შეპყრობილი გარდაიცვალა. დედით დაობლებული ბავშვი პაპა-ბებია მარკოვში წაიყვანა. იქ მან სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და დღეს უკრაინის თავისუფლების დასაცავად ფრონტის წინა ხაზზე იბრძვის. ის გამნაღმველია. დღედაღამ ლოცულობენ ჩოხელები ილია-ვანო ჩოხელის სიცოცხლისათვის. ყოველდღიურ კავშირზეა მამა.

ზაზა ჩოხელი: 26 წელი ვიცხოვრე უკრაინაში. სტუდენტობაც იქ გავატარე, იქ დავოჯახდი და შვილის დაბადების სიხარულიც იქ განვიცადე. უკრაინა ჩემი მეორე სამშობლოა. ძალიან განვიცდი დღევანდელ მათ მდგომარეობას. მებრძოლი და შეუპოვარი ერია, ერთმანეთის გამტანი და მხარში მდგომი. არასოდეს მიგრძენია, რომ უცხო ვიყავი, ტოლერანტულნი და სტუმართმოყვარენი არიან. ვიმედოვნებ, რომ გაიმარჯვებენ, რადგან სიმართლე მათ მხარესაა. უფაღს ვთხოვ, ჩემი შვილი ცოცხალი და ჯანმრთელი დამიბრუნდეს.

ღმერთმა ბისმინოს, ზაზა! ჩვენ კი, კიდევ ერთხელ ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღებს უზანგს და ქეთინოს. ვუსურვებთ მათ მხნეობას, ჯანმრთელობას და ხალხიერ სიბერეს თავის მონაბარებთან ერთად.

ნაირა გორაშვილი

„აბროტურიზმი სოფლად და სამუშაო ადგილების შექმნა“

აბროტურიზმი, რომელიც დასვენებისა და განვითარების ფორმაა, მსოფლიოში აღიარებული მიმართულებაა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება. გადაღებული ადამიანი თავს სულ უფრო ხშირად ავარებს გუნებას, სოფელს, ეფლორა პას-ტორალურ ცხოვრებაში — მონაწილეობს სოფლის მეურნეობაში, უკლის შინაურ ცხოველებს, მუშაობს მიწაზე, ინტერესდება სოფლად შემორჩენილი უძველესი წეს-ჩვეულებებითა და რიტუალებით.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, 26 მაისს, არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „აბროტურიზმი სოფლად და სამუშაო ადგილების შექმნა“, რომელიც მოწვეულმა ტურიზმის ექსპერტმა ბიორბი ჩარაქიძემ ჩაატარა.

დამსწრე საზოგადოებას გიორგი ჩერქეზიძემ გააცნო აბროტურიზმის არსი, მისი მნიშვნელობა, ის, თუ რას ენიჭება გა-

ქტის დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. ტურიზმი, როდესაც შენს ქვეყანაში მოდის, მას განსაკუთრებით აინტერესებს ის, თუ როგორი გარემოა შენს ირგვლივ: რამდენად ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად სუფთა პირობებში გაქვს ესა თუ ის პროდუქტი მოყვანილი, როგორია მისი მომზადების პროცესი, როგორი დამოკიდებულება გაქვს მის მიმართ და ა.შ. უნდა გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ“ - აღნიშნა მან.

განტვირთვა-დასვენებასთან ერთად, აბროტურიზმი თავის თავში სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის განვითარებას, ეკოლოგიის დაცვასა და ბიზნესში გარკვეულ კონკურენციასაც გულისხმობს, რაც ამ სფეროს სწრაფი განვითარების პერსპექტივას ზრდის. აბროტურიზმის, როგორც ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პროექტების ერთობლიობას, ეკონომიკური წინსვლის ახალ მიმართულებადაც მიიჩნევა. სწორედ ამ თემების



მისცა, თუკი ისინი მომავალში მსგავს სფეროში დააპირებენ ჩართვას. „მთავარია ხარისხი იმისა, რასაც გააკეთებთ ან აკეთებთ. თქვენი შექმნილი პროდუქტი უნდა იყოს ხარისხიანი, ის არ უნდა გააფუჭოთ იმის გამო, რომ მეტი შექმნათ ან რაიმე დაზოგოთ. რა თქმა უნდა, იქნება რისკებიც და ეს გარდაუვალია, მაგრამ სამიზნე ჯგუფების სწორი გათვლა, ტურისტებთან გულწრფელი ურთიერთობა და გარემომცველების შემოკრება წინსვლას აუცილებლად მოგიტანთ. ერთი რამ უნდა გავითავისოთ, რომ რაც ვიცით და დავივინყუთ - აი, ამას ფუფუნება აბროტურიზმი“ - აღნიშნა მან.

გიორგი ჩერქეზიძემ საინტერესო იდეების მქონე ახალგაზრდის, გიორგი პატატიშვილის იდეებსაც მოუსმინა და აღნიშნა, რომ „აბროტურიზმში ახალგაზრდების, სკოლის მოსწავლეებისა თუ თანასოფლელების ჩართვა და დასაქმებაც ძალიან მნიშვნელოვანია. მისი მნიშვნელობისა და პერსპექტივების გაანალიზებას ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიც უწყობს ხელს.“ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში ხარისხიანად. შეხვედრის დასასრულს არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორმა მაია ალადაშვილმა და ტრენინგში მონაწილეებმა

მოწვეულ სტუმარს ნაყოფიერი ტრენინგის ჩატარებისათვისა და საინტერესო რჩევებისთვის მადლობა გადაუხადეს.

ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენება და ეროვნული სამზარეულოს პროდუქტებზე მოთხოვნა ტურისტულ ბაზარზე თანდათან იზრდება. აბროტურიზმი, როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება, არა მარტო ტურიზმის სფეროს განვითარების ხელშემწყობია, არამედ ერთგვარ მულტიპლიკატორადაც შეგიძლია მივიჩნიოთ, როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკისათვისაც.

განსაკუთრებული ინტერესით, კლინატი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის, ცხოვრების წესისა და სტილის შექმნა, ტურისტებისათვის ყურადღებასიანი სეზონი იქნება. ნიადაგის დაზოგვისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ადგილობრივი ტრადიციები, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადაამუშავების წესები - ეს ყველაფერი საბარათო-სამუშაო აბროტურიზმის განვითარებისათვის საჭირო კარგ პერსპექტივებს ქმნის.

შუშუნა ყანაშვილი



დამწყვეტი მნიშვნელობა და რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ამ ტიპის ტურიზმის დროს. „შენი და პროდუ-

ირგვლივ დასმულ შეკითხვებს უპასუხა გიორგი ჩერქეზიძემ და დამსწრე საზოგადოებას გარკვეული სახის რჩევებიც

უფრო წინ, ცვლილებების დროა...

დამთავრდა კიდევ ერთი სასწავლო წელი, უკან მოვიტოვეთ ძველი და წინ ახალი ცხოვრების გზაგასაყარზე, უამრავი საზრუნავის წინაშე კიდევ ერთი ახალი თაობა. თუმცა, არანაკლები საზრუნავის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე ამ დროს კურსდამთავრებულთა მშობლები, რომელთა საფიქრალი ბევრად უფრო ადრე იწყება, ვიდრე სასწავლო წლის ბოლო დღეებია. ამ დღეებზე თავად ახალგაზრდები ზრუნავენ და გეგმავენ ღონისძიებებს, ბანკეტს თუ სხვა, მაგრამ ამ ყველაფრისთვის თანხების დასაკმაოდ სოლიდური თანხების მოძიება, როგორც წესი, მშობლების ხელშეწყობით ხდება. გაზაფხულიდან უკვე იწყება ფიქრი და ლეღა არა მხოლოდ იმაზე, ვინ სად და როგორ ჩააბარებს, არამედ იმაზეც, როგორ ჩაივლის ბოლო ზარი და ბანკეტი. ეს უკანასკნელი მუდმივად კამათისა და განხილვის საგანია, რადგან ბევრი ოჯახისთვის ნამდვილი განსაცდელია საბანკეტო მზადება, ბევრს კი უბრალოდ მოძველებულად მიაჩნია ეს ტრადიცია.

ბოლო წლებში სულ უფრო მეტი მოსწავლე ამბობს უარს, რომ ბანკეტი ტრადიციულად, რესტორანში აღინიშნოს და ამის ნაცვლად ექსკურსიას, ლამპრობებს აწყობენ ან კიდევ სახლს ქირაობენ, რომელსაც თავიანთი სურვილის მიხედვით აფორმებენ და ერთად აღნიშნავენ სკოლის დამთავრებას. ყოფილა შემთხვევები, ბანკეტი სულაც გაუქმებიათ და ის თანხა ქველმოქმედებაზე დაუხარჯავთ.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ხშირად ბანკეტი მშობლებისთვის ძალიან დიდი ტვირთია, რადგან ის უამრავ ხარჯთანაა დაკავშირებული. ბევრი მშობელი ამბობს, რომ ამ დღისთვის მათ შვილებს განსაკუთრებული ტანსაცმელი, მაკიაჟი, მანქანა, ფოტოგადაღება, სარესტორნო მომსახურება თუ სხვა ტიპის ხარჯი სჭირდებათ. გადაწყვეტივით, გვეკითხა აბიტურიენტებისთვის, მშობლებისა და მათთვისაც, ვინც უკვე დაამთავრა სკოლა, რას ფიქრობენ ბანკეტის აღნიშვნაზე და ზოგადად, ამ ტრადიციისაზე.

ბიორბი, 18 წლის: ბანკეტის გადახდას ვაპირებთ. 500-550 ლარი გვიჯდება მშობლებსა და ბავშვს ერთად. მე ვფიქრობ, რომ ერთხელ ვამთავრებ სკოლას და ჯობს, დასამახსოვრებელი იყოს. ბოლო დროს ზოგი სახლს ქირაობს და იქ აღნიშნავენ. მაგრამ, მე მგონია, იმ სახლს სხვა დროსაც იქირავებენ კლასებში, თუ შეკრების სურვილი ექნებათ. ბანკეტი კი ერთხელ გვექნება.

თიკო, 18 წლის: ბანკეტი მნიშვნელოვანი საერთოდ არ არის, თუმცა, მოსაგონებლად, დროის გასატარებლად შესანიშნავი იდეაა. ყველას არ აქვს იმის ფუფუნება,

რომ ბანკეტზე წავიდეს, მათ შორის, მეც - 500 ლარი ჯდება ერთი ადამიანი, რაც ვფიქრობ, საგნებში მოსასამზადებლად უფრო ნამადგება, ვიდრე „ქეიფი“.

ნათია, 18 წლის: ბოლო ზარისთვის ვემზადდებით და ბანკეტს გადავიხდით თუ არა, არ ვიცი. შეიძლება ექსკურსია ავირჩიოთ და მერე იქ აღვნიშნოთ ყველამ ერთად. ჩემი აზრით, ძალიან გაბერილი თანხებია. შეიძლება, რომ ცოტა მოკრძალებულად გაკეთდეს, ბევრი რამის გათვალისწინებით. რა აუცილებელია, მაინცდამაინც ფემინურ-სასტიქო, ფემინიზადალება და ფემინიზა-კოსტიუმი? 1000 ლარები დაუჯდა ჩემს



გარშემო ხალხს და ნამეტანია. ისედაც ამდენი ხარჯია მანამდეც და მერეც - აბიტურიენტის მომზადება, ჩაბარება, უმაღლესში სწავლა. ალბათ, უნდა აღინიშნოს ეს დღე, დასამახსოვრებელი ამბავია, მაგრამ ნაკლები გაქანებით და ფუფუნებით. ყველას ხომ არ აქვს და სხვებთან შეჯიბრის გამო ვალეებს იღებენ ან საერთოდ ვერ უშვებენ მშობლები...

ლელა, მშობელი: ჩემი აზრით, სისულელეა ბანკეტის გადახდა. მაგას სჯობს, სადმე ექსკურსიაზე წასვლა, უფრო იაფიც დაჯდება და კარგადაც დაამახსოვრდებათ. დამი, სტუდენტი: სულაც არ არის „გოიმობა“. მსოფლიოში ბევრ ქვეყანაში იხდებიან ბანკეტებს. მე ამერიკაში ვცხოვრობ და ნელნადმი ორჯერ აქვთ მაგალითად აქ ჰაი (მალა) კლასები. სხვების დასაწყისში და სწავლის ბოლოს. სხვადასხვა სახელი ჰქვია და რიტუალიც განსხვავებულია. აქ ბანკეტი ტარდება სკოლაში - ლამაზი კოსტიუმებით და ყველა ერთად აღნიშნავს,

ცეკვა-მუსიკით და სხვა ლამაზი ღონისძიებებით. ანუ, ბანკეტის გარე, დამატებითი ხარჯების გარეშე. მაგრამ კოსტუმზე და კაბებზე ზუსტად ჩვენსავით იხარჯებიან და დელავეზ, როგორც ჩვენ. ალბომი, სკოლის ნიგნი - ალბომი ყოველწლიურად ხარჯია. ექსკურსიები ახლა შემოიღეს ჩვენთან. თორემ ჩხუბის და მსხვერპლის გარეშე ჩვენ დროსაც არ ჩაუვლია ბანკეტებს, ოღონდ ეს თითზე ჩამოსათვლელი იყო მაშინ. რა თქმა უნდა, აღზრდა და კულტურა უფრო მეტი იყო მაშინ. და ქაჯები არც მაშინ გვაკლდა და ახლა ხომ მითუმეტეს. მთავარია, სწორად აღვზარდოთ შვილები.

დავამთავრე, გვექნა ბანკეტი, კაბები, ვიდუო, ტორტი, მასწავლებლები, მშობლები - სტანდარტულად. ბანკეტიდან რაც დარჩა, მეორე დღეს სახლში ავიტანეთ და ჩვენ გემოზე ვავრთეთ. აი ეს მეორე დღე ყველას უფრო კარგად გვახსენდება, ვიდრე პირველი. ამიტომ, ჩემი რჩევაა, თუკი გადახდას გადაწყვეტთ, დასხედით და მოიფიქრეთ, რა სტილის გართობა მოსწონს უმრავლესობას, სახლი, ლამპრობა, სადმე ქალაქარეთ სასტუმროში წასვლა თუ უბრალოდ გინდათ, რომ ამ თანხით რაიმე საქველმოქმედო გააკეთოთ და ასე შეუნყოთ ხელი ამ ქვეყანაში ფულის უაზროდ ყრის ტრადიციის ნელ-ნელა გაქრობას.

მაკა, მშობელი: ბანკეტის გადახდას აპირებენ და ოჯახმა ტყავი საიდან და როგორ გავიდნოთ, არ ვიცი. ეს დიდი ექსკურსიებიც რა უბედურებაა. დღემო რამდენჯერ უნდა დაფურცო. თუ არ გიპასუხა, ხომ მკვდარი ხარ იქვე. ან რატომ იღებენ ამ პასუხისმგებლობას მასწავლებელი და ერთი-ორი მშობელი. სალონი, პერანგის დაბეჭდვა, მანქანებით სეირნობა, ბანკეტი - ჩემი აზრით, უფრო მოკრძალებულადაც შეიძლება. საერთოდ რატომ არ იკრძალება ეს კომუნისტური გადმონამოი ბანკეტები? „ურის ვალს“ რომ იღებენ მშობლები შვილის ბანკეტზე გასაშვებად! ამ ახალი თაობისგან მივივრს ამ „გოიმური“ ტენდენციის გაგრძელება! ერთმანეთთან მეჯობრი ჩაცმულობით და მაკიაჟით! ბევრმა კლასმა თქვა უარი, მაგრამ საერთოდ რატომ არ იკრძალება? ან ბოლო ზარზე მანქანებით „გონკაობა“ რატომ არ არის დასჯადი? ბანკეტები, მაკიაჟები, კაბები და რესტორნები, იმდენი ჯდება, რომ სისულელეა ამაში ფულის გადაყრა. როდის მოიშლება ეს ყველაფერი ნეტა საქართველოში? ხომ შეიძლება უფრო ადამიანურად და ზომიერად? მაინცდამაინც ბინა უნდა დავალომბარდოთ? აცხადებს ქ-ნი მაკა.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო და გამოვეხმაურო ზემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს. სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ ორწლიანი დაპაუზების შემდეგ, შეუძლებელია ახლა ბავშვებს მოვითხოვოთ თავმჯეკება ერთმანეთთან და სკოლასთან გამომშვიდობებისას, თუმცა, ალბათ ნელ-ნელა ცხოვრება თავისას მოიტანს და ამ სოლიდური თანხების ხარჯვას, რომელიც თითოეული ახალგაზრდის სკოლის დამთავრებასთან არის ასოცირებული, ახალ რელსებზე გადაიყვანს და იგი უფრო დანიშნულებისამებრ, გონივრულად იქნება მიმართული, ნაკლები თანხებით, სიმბოლური დატვირთვით და გრძელვადიან პერსპექტივაში მეტი სარგებლობა.

მომზადდა
ელზა ხარაშვილი

„ახალგაზრდებს სჭირდებათ მისაბაძი მაგალითები და არა კრიტიკოსები“

ახალგაზრდები მნიშვნელოვანია, „მომავალ თაობას“ დიდი იმედები უკავშირდება, საზოგადოება ახალგაზრდებს განიხილავს როგორც ადამიანებს, რომლებმაც უნდა შეცვალონ ღირებულებები, თავი დააღწიონ ძველ ჩვევებს და ნებისმიერი ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნას შეუწყონ ხელი. თუმცა, ჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, ნამდვილად წარმოადგენს თუ არა ახალგაზრდობა ცვლილებების მამოძრავებელ ძალას, თუ მათ გარშემო მიმდინარე სოციალური პროცესებია ახალგაზრდებისთვის ბიძგის მიმცემი? კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა სჭირდება ამ თაობას იმისათვის, რომ გამოიყენოს თავისი პოტენციალი და გახდეს პოზიტიური ტრანსფორმაციული ძალა?

სწორედ ახალგაზრდებთან მუშაობის პრინციპებზე, 24-25 მაისს, ლაგოდეხში, კახეთის რეგიონში შემავალი სათემო ორგანიზაციებისა და ჯგუფებისთვის, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინიციატივით გაიმართა ტრენინგი „ახალგაზრდული მუშაობის პრინციპები“. ის მოიცავდა ამ სათემო ორგანიზაციებისა და ჯგუფების ლიდერებისთვის თუ ახალგაზრდებისთვის ისეთ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური განათლება, ვინ არის

ბას, რომლითაც ევროკავშირის ქვეყნები ბოლო ათწლეულებია ხელმძღვანელობენ, როგორც ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიწოდების საუკეთესო თანამედროვე მოდელი.

პროფესიულ ახალგაზრდულ საქმიანობას „ახალგაზრდული მუშაკი“ ახორციელებს, რომელიც არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდებს ევროკავშირის მიერ აღიარებულ 8 (საქართველოში 9) საკვანძო კომპეტენციას გადასცემს და ასევე იმ უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში ეხმარება, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

ახალგაზრდული მუშაკი არის პირი, რომელიც მუშაობს ახალგაზრდებთან იმისათვის, რომ დაეხმაროს მათ პერსონალურ, სოციალურ, პროფესიულ, კულტურულ და საგანმანათლებლო განვითარებაში არაფორმალური განათლებისა და ფორმალურს გარე განათლების გამოყენებით. ახალგაზრდული მუშაკების ახალგაზრდებთან მუშაობის ორი გზა არსებობს. ერთ-ერთი მიდგომა ახალგაზრდებთან პირდაპირი მუშაობა, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და შემდგომ სათანადო მხარდაჭერაა. ამასთანავე, ახალგაზრდული მუშაკები

„ახალგაზრდებს სჭირდებათ მისაბაძი მაგალითები და არა კრიტიკოსები“ (ჯონ ვუდი)
 „ახალგაზრდები არა მხოლოდ უნდა უყვარდეთ, არამედ უნდა გრძობდნენ, რომ უყვართ“ (წმინდა იოანე ბოსკო).

პერსონალური და სოციალური პრობლემების ტრენინგისა და მენტორობის პროცესში.



ახალგაზრდული მუშაკი და რა როლი აქვთ მათ ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესში, რა არის ახალგაზრდული საქმიანობა, ახალგაზრდების ტიპოლოგია ქვეყნის მიხედვით. მონაწილეებმა მოისმინეს წარმატებული ახალგაზრდული საქმიანობის კომპონენტების შესახებ. მონეველმა ტრენინგებმა ლალი ბაში-სონიამ და სალომე გუბუჩიამ ისაუბრეს ახალგაზრდების მონაწილეობის კიბეზე, თუ როგორ განისაზღვრება მათი ჩართულობა სხვადასხვა საქმიანობაში და როგორ განისაზღვრება ჩართულობის საფეხურის ხარისხი. გარდა ამისა, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია მოტივაციის 5 ძირითად შემადგენელზე, თუ რატომ მონაწილეობენ ძირითადად ახალგაზრდები ამა თუ იმ აქტივობებში. ორდღიანი ტრენინგი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა იმ მონაწილეებისთვისაც, რომლებიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული ქალთა და ახალგაზრდული სათემო გაერთიანებებიდანაც (არბოშიკი და ხორნაბუჯი) იყვნენ ჩართული. მათი წარმომადგენლების ინფორმაციით, მსგავსი ტრენინგები ხელს შეუწყობს თემის ლიდერებსა და მოხალისეებში ცოდნისა და გამოცდილების ამაღლებას, თუ როგორ გამოიყენონ ახალგაზრდებთან, როგორ გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მეთოდი მათგან ინიციატივის მოსმენისა თუ წარდგენის დროს. როგორ ჩაერთონ და იმუშაონ საერთო პროექტებზე და ა.შ. ტრენინგს სულ 22 მონაწილე დაესწრო.

ვინ არის ახალგაზრდული მუშაკი?
 ახალგაზრდული საქმიანობის მეთოდოლოგია ეფუძნება ევროკავშირის ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებას,

ეხმარებიან ახალგაზრდებს მათ წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენაში, ანალიზსა და გადაჭრაში. ახალგაზრდული მუშაკები მზად არიან, გაესაუბრონ ახალგაზრდებს და დაეხმარონ ცხოვრებისეული მიზნების განსაზღვრაში. მეორე მიდგომა არაფორმალური და ფორმალურს გარე განათლების გამოყენებით სხვადასხვა ტიპის პროექტების დაგეგმვა და განხორციელებაა. პროექტის თემები ძალზე მრავალფეროვანი და ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისია. პროექტების საერთო მახასიათებელია ის სარგებელი, რომელსაც ახალგაზრდები იღებენ მათში მონაწილეობით, მათ შორის არის ინფორმაციის მიღება და ცოდნის სრულყოფა კონკრეტულ სფეროებში, საჭირო უნარების განვითარება პერსონალური და პროფესიული ცხოვრებისთვის, საკუთარი თავის გამოხატვა, გამოცდილების მიღება და ერთმანეთისგან სწავლა.

ახალგაზრდული მუშაკები მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ახალგაზრდულ ცენტრებში, სკოლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, ეკლესიებში, ახალგაზრდულ კლუბებში, „დიეთით“ და „აუთორი“ პროგრამებსა და სხვა ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ახალგაზრდული მუშაკები ახალგაზრდებს სთავაზობენ სხვადასხვა შესაძლებლობას, რომელთა შესახებ შეიძლება ინფორმაცია მათ დამოუკიდებლად ვერ მიეღოთ, ამიტომაც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახალგაზრდული მუშაკები აძლიერებენ ახალგაზრდებს. ისინი ეხმარებიან ახალგაზრდებს თავდაჯერებისა და საკუთარი თავის რწმენის გაზრდაში, ეხმარებიან ახალგაზრდებს

მების გამკლავებასა და რისკების შეფასების უნარის ჩამოყალიბებაში, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია სხვადასხვა სოციალური სიტუაციის ეფექტიანად მართვისთვის. ახალგაზრდული მუშაკები უზრუნველყოფენ, რომ სამუშაო გარემო იყოს პოზიტიური და მეგობრული. ახალგაზრდებს არ ჰქონდეთ არანაირი ბარიერი, რაც მათ თვითგამოხატვაში ხელს შეუშლის. ისინი მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდების თვალსაწიერის გაფართოებასა და წარმატებაზე ორიენტირებული განვითარებაში.

ახალგაზრდების მხარდაჭერის გარდა, ახალგაზრდულ მუშაკებს ევალებათ ადმინისტრაციული დავალებების შესრულებაც. ისინი, როგორც წესი, პროექტის ბიუჯეტის შექმნასა და მართვასთან ერთად, გეგმავენ, ახორციელებენ და მონიტორინგს უწევენ სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტს ან მცირე აქტივობებს. ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ ისინი იძიებენ სხვადასხვა წყაროს პროექტის ჩატარებისა და საჭირო თანხის მოზიარებისთვის, წერენ პროექტის აპლიკაციებს და შეაქვთ საპროექტო განაცხადები დაფინანსების მოსაპოვებლად. პროექტისა და აქტივობების განხორციელების შემდეგ ახალგაზრდული მუშაკები ადგი-

ისინი თანამშრომლობენ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ახალგაზრდულ ცენტრებთან, სკოლებთან და სხვა ახალგაზრდულ ჯგუფებთან ახალგაზრდებისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზების, დიდ აუდიტორიასთან მისაწვდომობის, აქტივობებში მეტი ახალგაზრდის ჩართვისა და ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის მიზნით. ახალგაზრდულ მუშაკებს აქვთ კავშირები ზემოთ ხსენებულ დაწესებულებებთან ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ტრენინგის დასრულების შემდეგ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროექტების მართვის მენეჯერმა ანი ნაღირაშვილმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს ტრენინგში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი ინტერესისთვის. ტრენინგში ასევე მონაწილეობდა საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე თამაზ მუშლაძე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს ქვეყანას.
 ორბანიზაცია ევოქტიანად საქ-



ლობრივ დონეზე პროექტის შედეგებს ავრცელებენ მედიის სხვადასხვა წყაროს - სოციალური მედიის პლატფორმების, ვებ-გვერდების, ჟურნალ-გაზეთების, სატელევიზიო პროგრამების - მეშვეობით. გარდა ამისა, ისინი აწარმოებენ კონფიდენციალურ ჩანაწერებს, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას იმ ახალგაზრდებზე, რომლებთანაც მუშაობენ. ახალგაზრდული მუშაკები ჩართულნი არიან სამუშაო ადგილზე მოხალისეების შერჩევის,

მიანობს ძველის განვითარებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი სფეროებში, რომლებიც: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა, გარემოს დაცვა, დეცენტრალიზაცია, მოხმარებალთა უზუნდობა, კორუპციული სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური მენარმიოვა.
 შუშუნა ყანაშვილი

„ოტელო“ და ბრუნდა

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის 170-ე სეზონის რეპერტუარში „ოტელო“ დაბრუნდა.

პრემიერის პირველ დღეს, 13 მაისს, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ და ბალეტის ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ეს მნიშვნელოვანი დღე. აღნიშნეს, რომ 1957 წლის 29 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ბალეტის „ოტელოს“ პრემიერა გაიმართა, რომელიც ლეგენდარულმა ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა. სპექტაკლზე დასწრების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ წარმოდგენის დღეებში თეატრს ცხენოსანი მილიცია იცავდა.

სპექტაკლის წარმატება ალექსი მაჭავარიანის მუსიკის, ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის და სოლიო ვირსალაძის სცენოგრაფიის ერთობლიობამ განაპირობა. ოტელოს მთავარ პარტიას თავად ვახტანგ ჭაბუკიანი ასრულებდა. მისმა ვირტუოზულმა შესრულებამ ამ ბალეტს და თავად ჭაბუკიანს კიდევ უფრო დიდი აღიარება მოუტანა.

ნინო ანანიაშვილმა დიდი შრომა გასწია, რომ „ოტელო“ კვლავ ქართული ბალეტის სცენას დაბრუნებოდა. არნახული ინტერესი გამოიწვია ახალი ქორეოგრაფიული ლიბრეტოსა და რეჟისურის ნინო ანანიაშვილის რედაქციით დადგმულმა კლასიკურმა ბალეტმა „ოტელომ“, რისი დასტურიც გახლდათ სრული ანშლანგი პრემიერის ყოველ დღეს. ბედნიერება მხვდა წილად, რომ 13 მაისიდან-22 მაისის ჩათვლით ყველა

პრემიერას დავსწრებოდი, რისთვისაც უღმეს მადლობას ვუხდით ნინო მუსერიძეს. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია აღდგენილია ლალი კანდელაკის მიერ, მთავარი კონსულტანტები საქართველოს სახალხო არტისტები: ლილიანა მითიაშვილი და ირინე ჯანდიერი, სცენოგრაფია და კოსტიუმები: დავით პოპიაშვილი. იგი გახლავთ ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მხატვრის, ავთანდილ პოპიაშვილის შვილი.

დამდგმელი დირიჟორი გახლავთ ვახტანგ მაჭავარიანი. სპექტაკლის დაწყებამდე მან დამსწრე საზოგადოებას მიმართა: „საქართველოს და მსოფლიოს დიდი მუსიკოსი და პიანისტი ლექსო თორაძე გარდაიცვალა, გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი მივავით მის ხსოვნას“. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სპექტაკლი. „ოტელოს“ უვერტიჟურას სულგანაბული უსმენდა მსმენელი. როგორც ყოველთვის შეუდარებელი იყო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, რასაც ხანგრძლივი ოვაცია და აპლოდისმენტები მოყვა.

ოტელოს მთავარ პარტიას ასრულებდა მონვეული სოლისტი ამილკარ მორეტ გონსალესი და ფერნანდო მონტანო, დეზდემონა გახლდათ ჩვენი საბალეტო დასის სოლისტი ეკატერინე სურმაგა და იაპონიიდან მონვეული სოლისტი რუიკა იოკოიამა.

პრემიერის პირველ დღეს მთავარი პარტიები იცეკვეს ამილკარ მორეტ გონსალესმა და ეკატერინე სურმაგამ. პირველი მოქმედების პირველმა სცენამ დადებითი ემოცია გამოიწვია მაყურებელში.


ვენეცია, სენატორ ბრაბანციოს სასახლის ეზო. კეთილშობილი მავრი, ვენეციის რესპუბლიკის სამსახურში მყოფი ოტელო მოუთმენლად ელის ბრაბანციოს ქალიშვილის დეზდემონას გამოჩენას... მათი წრფელი სიყვარული ჯერისწერით დაგვირგვინდა...

განმაცვიფრა ამილკარ მორეტ გონსალესის არტისტულმა საცეკვაო ტექნიკის დიდებულებამ, შეუდარებელი იყო ეკატერინე სურმაგა. ყველა მოქმედი გმირი დახვეწილი ჭაბუკიანისეული ქორეოგრაფიული შესრულებით გამოირჩეოდა. მშვენიერების განსახიერება იყო საბალეტო დასის მიერ წარმოდგენილი ვირტუოზული ცეკვები, ბრწყინვალე დეკორაციები, დავით პოპიაშვილის სცენოგრაფია და მდიდრული კოსტიუმები.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ალექსი მაჭავარიანის გამოგნებული მუსიკის ფონზე, ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით, მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით მაყურებელმა კიდევ ერთხელ იხილა ეკრანზე „ბალეტის რაინდის“ ვახტანგ ჭაბუკიანის მავრიტანული ცეკვა.

„ოტელოს“ პრემიერას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი.

ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამონარიდებს „ოტელოს“ შესახებ.



დავით პოპიაშვილი
DAVID POPIASHVILI
დამდგმელი მხატვარი
Stage Designer

„ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“ გამოგნებული დრამატული პულსაციის პარტიტურა აქვს. ეს არის ელექტრულად დამუხტული შექსპირი“- ჰოვარდ ტომპსონი „ნიუ იორკ ტაიმს“ 1964 წ.

„ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ ეს არის ქართული და უნივერსალური შედევრი, აღსავსე დრამატული ინტენსიურობით“, - ჟურნალი „ფრანს მუზიკ“ №152 1966.

ნანა ჭიჭინაძე
ოპერის მემოზარი

გიორგი კვინინაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა



21 მაისს, ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიული ანსამბლ „გიორგელების“ მონაწილეობით გიორგი კვინინაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.

ანსამბლ „იმედის“ 19 წლის სოლისტი 2018 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ის „იმედში“ 10 წლის განმავლობაში ცეკვავდა. გიორგის გარდაცვალების შემდეგ, 2019 წლის 15 ივნისს „იმედს“ გიორგის პატივსაცემად „გიორგელები“ ეწოდა.

ანსამბლის წევრები არ ივინყებენ მეგობარს და გიორგის ხსოვნის უკვდავყოფას ამ ფორმით ცდილობენ.

ანსამბლ „გიორგელების“ წევრები და მათი სამხატვრო ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილი ქართული ხალხური ცეკვების შესწავლის გარდა ქველმოქმედებთაც არიან დაკავებული. ხსოვნის საღამოს ყველაზე შთამბეჭდავ მომენტებად იქცა გიორგის დების: სალომესა და ანანოს მიერ შესრულებული კომპოზიცია და ფოტოკოლაჟი, რომელიც გიორგი კვინინაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად მოამზადეს მისმა მეგობრებმა.

კონცერტის შემდეგ მეგობრები და ოჯახის წევრები გიორგის სამუდამო განსასვენებელთან მივიდნენ და იქ მიაგეს პატივი მის ხსოვნას.



მონატრება

ციური გურაშვილი

29 მაისი შენი დაბადების დღეა, 73 წლის გახდებოდი. აქედან 48 წელი ერთად გავატარეთ შრომაში, ურთიერთგაგებასა და სიამტკბილობაში. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს სამსახური გვექონდა, დიდი ძალისხმევით შედეგად 3 შვილი გავზარდეთ, მივეციტ განათლებად, დავაოჯახეთ, საკუთარი კერა მოვუწყეთ, შვილიშვილების გაზრდით დავეკავდით, ვისაც როდის და სადაც ვჭირდებოდით, იქ ვიდექით. კარგი სიძე შეგვხვდა, შალვა გორაშვილი ოჯახის ერთგული და შვილების მოყვარე ახალგაზრდაა.



რძლებიც - მაგული პაპუაშვილი და თინიკო ჯავშანაშვილი, როგორც შენ ამბობდი ხოლმე, ღმერთის საჩუქარი იყვენ ჩვენთვის. მაგრამ, როდესაც უნდა გაგვეზარა და დავმტკბარიყავით მათი სიყვარულით, თავსდატეხილმა პანდემიამ იმსხვერპლა უკურნებელი სენისგან ისედაც ჯანმრთელობაშერყეული შენი სიცოცხლე, კოვიდით გარდაცვლილს ისეთი პატივი ვერ გეცით, როგორც გეკადრებოდა, ამაზე გვწყდება გული. ცხოვრება კი მაინც თავის გზით მიდის. შენი პირველი სიხარული, შენი შვილიშვილი, ლანა გათხოვდა. კარგი ოჯახი შექმნა, შენც რომ მოგეწონებოდა ისეთი, მაგრამ... ნათელში იყავი, ჩვენო ციური, დაბადების დღეს გილოცავთ მანდ, სამუდამო სოფელში, ვლოცულობთ შენთვის, ეჭვიც არ გვეპარება, შენც ლოცულობ ჩვენი სიკეთისათვის. უფალს ებარებოდე, არასოდეს დავივინყებთ შენს ერთგულებას და ამაგს. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

გეუღლე ნოდარი, შვილები: მიხიკო, მარჯა და ანა გურაშვილები ოჯახად ერთად.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის

კაა გულიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და თანამშრომლებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი თანამშრომლებთან ერთად თანაგრძნობას უცხადებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ავთანდილ გულიკაშვილს მამის

შალვა გულიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ბოლო ზარის ქრონიკა...



ზირველი საჯარო სკოლა



სორნაბუჯის საჯარო სკოლა



მეორე საჯარო სკოლა



ჯემო ვარსაიანის საჯარო სკოლა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიამ-ვილი „ბოლო ზარის“ ღონისძიებას ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში დაესწრო.

„მოგესალმებით და გილოცავთ სკოლის დამთავრებას.

ვიცი, რომ ბევრ თქვენგანს განათლების მისაღებად უცხოეთში წასვლის სურვილი აქვს. მინდა, რომ აისრულოთ ეს ოცნება და მიიღოთ განათლება და გამოცდილება, რომელსაც შემდეგ სამშობლოს და მშობლიურ მუნიციპალიტეტს მოახმართ. დამეთანხმებით, ამის არაჩვეულებრივი მაგალითი გვაქვს-ყველამ იცით, ჩვენი ქვეყნის პრემიერმა ეს სკოლა დაამთავრა და დღეს ჩვენს ქვეყანაზე და ჩვენს მუნიციპალიტეტზე ზრუნავს.

მინდა, სკოლის დამთავრება და ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება თქვენთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და მთელი ქვეყნის ყველა მეთორმეტე კლასელს მივულოცო, ასევე პედაგოგებსა და მშობლებს. აქვე აღვნიშნავ, რომ თქვენი პედაგოგები ჩემი პედაგოგებიც იყვნენ. ამ ადამიანებმა უკვე არაერთი თაობა აღზარდეს. მჯერა, რომ მათ ამაგს არასოდეს დაივიწყებთ. გილოცავთ კიდევ ერთხელ და წარმატებებს გისურვებთ.“

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა წელს ორმოცდაათმა ახალგაზრდამ დაამთავრა, რომელთაგან 16 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანია.

გაზეთი „შირაქი“ ყველა კურსდამთავრებულს ულოცავს სკოლის დამთავრებას, უსურვებს მათ ბედნიერ მომავალს და წარმატებებს ცხოვრების ახალ ეტაპზე.



სამხეკლოს საჯარო სკოლა

ყურადღება!

1 ივნისიდან გაიხსნება ნევროლოგიური კაბინეტი ქ.დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქ. №65-ში, ტელ: 555373 717; პაციენტებს მოემსახურება მუნიციპალიტეტში ყველასთვის კარგად ცნობილი, გამოცდილი ნევროლოგი ძ-ნ დოდო უთრუთაშვილი. შშმ პირებისათვის ექიმთან ვიზიტი უფასო იქნება.

ამინდი		დედოფლისწყარო									
ორშაბათი 30.05 დღე	სამშაბათი 31.05 ღამე	ორთშაბათი 01.06 დღე	სუთშაბათი 02.06 ღამე	პარასკევი 03.06 დღე	შაბათი 04.06 ღამე	კვირა 05.06 დღე					
28°	15°	29°	15°	29°	16°	30°	16°	29°	16°	28°	15°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინბა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ეურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭავაძე (საქმის მწარმოებელი). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფილიალის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591 09-24-65 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	--